ექსპერტობის კანდიდატის სარეგისტრაციო ფორმა

გვარი, სახელი	მეტრეველი იოსები	
პირადი №	01024031261	
საცხოვრებლის მისამართი	თბილისი, იოსებიძის 63, ბ.1	
საკონტაქტო ტელეფონი	593 96 99 39	
ელ-ფოსტა	sosometreveli@gmail.com	
საექსპერტო შეფასებას დაქვემდებარებული ობიექტის დასახელება და მისამართი	თბილისში, დიდ დიღომში, პეტრე იბერის ქ. 16-ში მდებარე ამხანაგობა „დიდგორი 2006“-ის საცხოვრებელი კომპლექსი	
საექსპერტო შეფასებას დაქვემდებარებული სახეობა	მშენებლობის პროექტის ნაწილის საექსპერტო შეფასება	
საექსპერტო შეფასებას დაქვემდებარებული მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების ნაწილები	საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის საექსპერტო შეფასება	
შემთანხმებელ ორგანოში წარსადგენი დოკუმენტები	ა) პირადობის მოწმობის ასლი;	+
	ბ) პირადი ინფორმაცია (CV);	+
	გ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები (დიპლომი, სერტიფიკატები);	+
	დ) ინფორმაცია სამუშაო გამოცდილების შესახებ;	+
	ე) დადასტურებული/დამოწმებული ინფორმაცია ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების შესახებ, ობიექტის დასახელების და მისამართის მითითებით;	+
	ვ) ექსპერტობის კანდიდატის დეკლარაცია, მოწოდებული ინფორმაციის სისწორის შესახებ.	+
ხელმოწერა		
თარიღი	30.04.2018 წ.	

საექსპერტო დასკვნა

ანგარიშზე „ქ. თბილისში, დიდი დიღომი, პეტრე იბერის ქ. № 16-ში მდებარე ამხანაგობა „დიდგორი 2006“-ის საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისათვის გამოყოფილ მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეილოგიური პირობები”

შ.პ.ს. „დიდგორი 2006“-ს ხელმძღვანელობის თხოვნით, ჩვენს მიერ 2018 წლის აპრილში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, დიდი დიღომი, პეტრე იბერის ქ. № 16-ში მდებარე ამხანაგობა „დიდგორი 2006“-ის საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისათვის გამოყოფილ მოედანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისი, დიდი დიღომი, პეტრე იბერის ქ. № 16-ში მდებარე ამხანაგობა „დიდგორი 2006“-ის საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისათვის გამოყოფილ მოედანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია ინჟ. გეოლოგი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების მიმართულების ხელმძღვანელის ტექნ. მეცნ. დოქტორის, პროფ. გ. ჭოხონელიძის მიერ 2014 წლის ივნისში. სამუშაოების უშუალო უფროსი გ.იაშვილი. მათ გეოტექნიკურ ლაბორატორიაშია შესრულებული გრუნტების თვისებათა გამოკვლევა.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი, აკრეფილი კომპიუტერზე ..... 8 გვ.
2. ტექნიკური დავალება ..... 1 გვ.
3. კომპრესიისა და ჭრის გრაფიკები ..... 2 გვ.
4. ცხრილი გრუნტების თვისებებზე ..... 1 ფურც.
5. გრუნტების ფილტრაციის გრაფიკი ..... 1 გვ.
6. მოედნის ტოპოგეგმა ..... 1 ფურც.
7. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები ..... 4 ფურც.
8. მოედნის გეოლოგიური ჭრილი ..... 1 ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 12 სართულიანი საცხოვრებელი სახლი. კონსტრუქციულად შენობები გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში, შევსება განხორციელებულია ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება

საძირკვლის ტიპსა და ჩაღრმავებას, ის გადაწყდება მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევების შემდეგ. შენობა კვლევის საგნად გახდა იმიტომ, რომ შენობის ჩრდილო დასავლეთ ნაწილში მიწის ზედაპირის დონეზე გაჩნდა წყალი. გაყვანილმა სამთო გამონამუშევრებმა აჩვენა, რომ შენობა დაფუძნებულია თიხებზე.

მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დასადგენად საკვლევ მოედანზე გაყვანილი იქნა 4 ხელჭაბურღილი, მათი საერთო სიგრძე 25.4 მეტრს. ჭაბურღილებიდან ამოღებული იქნა ნიმუშები მათი თვისებების დასახასიათებლად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის შედეგად მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 – ნაყარი გრუნტი (t, Q_{IV}).
2. ფენა 2 – თიხარი (dp, Q_{IV}).
3. ფენა 3 – თიხა (dp, Q_{IV}).

ანგარიშში მოკლედ არის მოცემული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური, და კლიმატური პირობები. მოცემულია ზემოაღნიშნული ქანების დახასიათება და მათი ნორმატიული და საანგარიშო მაჩვენებლები. ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე ავტორი იძლევა წინადადებას შენობას გაუკეთდეს დრენაჟი გრუნტის წყლის მოსაშორებლად, რასაც ვეთანხმებით.

დასკვნა

ქ. თბილისი, დიდი დიღომი, პეტრე იბერის ქ. № 16-ში მდებარე ამხანაგობა „დიდგორი 2006“-ის საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისათვის გამოყოფილ მოედანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური სამუშაოები აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმების მოთხოვნებს. ჩვენს მიერ გამოთქმული ცალკეული შენიშვნები ჩატარებული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა მხედველობაში და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას. იგი შეიძლება საფუძვლად დაედოს მშენებლობის პროექტს საინჟინრო-გეოლოგიურ ნაწილში.

ექსპერტი ინჟინერ-გეოლოგი ი. მეტრეველი